წლიწადი მეცხრე.—№ 451

პარასკევი, 29 ნოემბერი, 1874

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მან., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.

**ხელის-მოწერა**

თფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლეში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

რედაქციის განცხადება — ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: ახალი გამგეობა, — უფ. ი. არწრუნი და თამამშოვის ქარვასლა, — წვრილი ამბები. — „დ რ ო ე ბ ი ს“ კორრესპონდენცია: სოხუმიდამ, — გორიდამ. — რ უ ს ე თ ი: წვრილი ამბები. — უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი, — ესპანია, — დანია. — ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა მ: ერთობის მნიშვნელობა. — ნ ა რ ე ვ ი. — განცხადებანი.

**ვისაც წრევანდელი ან შარშანდელი გაზეთის ფასი აქამდის არ შემოუტანია, ვთხოვთ გამოგზავნონ რედაქციის კანტორაში.**

ამ დღეებში გამოვა და მარტიანოვის წიგნის მაღაზიაში გაისყიდება

**პატარა**

**დ რ ო ე ბ ი ს  კ ა ლ ე ნ დ ა რ ი**

ფასი ყველგან სამი შაური.

ამას გარდა იბეჭდება და დეკემბრის შუა რიცხვებში გამოვა მეორე უფრო ვრცელი

**„დროების კალენდარი“**

რომელიც, ჩვეულებრივ საკალენდრო და სტატისტიკურ ცნობებს გარდა, რამდენსამე მოთხრობას, სტატიებს, ლექსებს და საზოგადოთ ლიტერატურულ ნაწილს შეიცავს. ამ კალენდარში იქნება აგრეთვე დაბეჭდილი „წესდება თფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო-მამულო ბანკისა.“

ფასი „დროების კალენდრისა“ ექვს შაურზე ან ორ აბაზზე მომეტებული არ იქნება.

ორივე კალენდარი ქუთაისში და უეზდის ქალაქებშიაც გაისყიდება. თავის დროზე გამოცხადებული იქნება თუ სად და ვისთან შეიძლება ყიდვა.

დაბარება შეიძლება „დროების“ რედაქციიდამ და უფ. მარტიანოვის წიგნის მაღაზიიდამ.

# საქართველო

## ახალი ქალაქის გამგეობა

რაც უნდა ძალიან ეწყინოს ნამდვილ ქართველს (თუ კი სადმე მოიპოვება ამ ჟამად ჩვენში „ნამდვილი ქართველი!“), — რაც უნდა ძალიან ეწყინოს, მაინც უნდა გაუტყდეთ, რომ ერთ დროს ქართველთა სატახტო ქალაქი — თფილისი — დღეს სომხების საკუთრებად შექმნილა. ახლანდელის თფილისის ნახევარმცხოვრებლებს სომხები შეადგენენ; ვაჭრობა, აღებ-მიცემა იმათ ხელშია; ქალაქის მიწა იმათია; ამ მიწაზე აგებული შენობებიც თითქმის სულ სომხებისაა.

ითთო-ოროლა იმერელს ან მეგრელს თუ შეხვდებით სადმე, ისიც მოხელეთა და საზოგადოთ წვრილ ვაჭართა და მოპატრონეთა შორის, თორემ დანარჩენი ვაჭრობა და ავლა — დიდება „ჩვენი“ ქალაქისა სულ სომხების ხელშია.

ერთი სიტყვით, სომხები კარგა მაგარი ბრჭყალებით ჩაჰფრენიან ქალაქსა და ჯერჯერობით ჰფლობენ და განაგებენ ყველა იმის საქმებსაც...

თუ ამ გარემოებას მიიღებთ მხედველობაში, მაშინ, ქვემო-მოყვანილი სიის წაუკითხავადაც, კარგათ მიხვდებით — თუ ვინ უნდა ამოერჩია ქალაქს თავის საქმეების წარმომადგენლად და გასაგებად.

სამოცდა თორმეტ ქალაქის დეპუტატში მხოლოდ სამი თუ ოთხი ქართველია მგონი, ერთი თუ ორი რუსი და ერთიც გერმანიელი. დანარჩენი სულ სომხები არიან! ეს გარემოება ძალიან ადვილად გასაგებია: წვრილი და დიდი ვაჭრები, ცოტა და ბევრის ხარჯის გადამხდელნი სულ სომხები არიან, და იმათაც თავის ნაცნობი ძმა-კაცები, თავის რჯულისა და ხელობის კაცები ამოირჩიეს ქალაქის გამგეობაში თავიანთი ინტერესების დასაცველად..

ამაში გასაკვირველი არა არის რა. მაგრამ ამ ამორჩევების შედეგი, მგონი, იმათ კი ღირს, რომ იმაზე ქართველი კაცი ცოტას მაინც არის დაფიქრდეს....

ჩვენ არა გვაქვს ცნობა ახლად არჩეული პირებისა....

არ ვიცით ახალი გამგეობა როგორ იმოქმედებს შემდეგში, ვის ინტერესს და როგორ დაიცავს. მაგრამ ახლანდელ გამგეობას, სხვა მოვალეობათა შორის, ერთი მოვალეობა აქვს, რომელსაც, რაც უნდა ჰსურდეს, თავიდამ ვერ აიცილებს; ეს მოვალეობა ის არის, რომ ქალაქი რიგიანათ გაანათოს და მცხოვრებლებს წყალი აღირსოს.

გუშინდელი თამამშევის ქარვასლის დაწვა, ყოველ—დღიური ცარცვა და ავაზაკობა ქალაქში კარგათ გვარწმუნებს, რომ ეს ორი საგანი: წყალი და სინათლე მ თ ე ლ ი ქალაქისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

ს. მესხი

## უფ. ი. არწრუნი და თამამშოვის ქარვასლა

წინანდელ „დროების“ ნომერთან, უფ. იერემია არწრუნის თხოვნით, ჩვენს თფილისის ხელის-მომწერლებს გაუგზავნეთ რუსულად შედგენილი ქაღალდი, რომელიც უფ. არწრუნს ქალაქის გამგეობაში შეუტანია.

ეს ქაღალდი თამამშოვის ქარვასლას შეეხება. უფ. არწრუნი ამბობს, რომ 1846 წელს, როდესაც ქალაქმა მისცა უფ. თამამშოვს ერევნის მეიდანზე ალაგი (1000 ოთხკუთხი საჟენი) თეატრის ასაშენებლად, უმთავრესი აზრი ის იყო, რომ თეატრს კარგი ფართო ალაგი ჰქონოდა, დუქნების მიშენება კი ამ ქარვასლაში მეორე ხარისხის საქმე იყო. ბოლოს კი სულ წინააღმდეგი გამოვიდა: პირველი ყურადღება თამამშევმა მაღაზიებს მიაქცია და თეატრის შენობამ უკანასკნელი ალაგი დაიჭირა.

ეს, სხვათა შორის, იქიდამ სჩანს, რომ მაღაზიები 300,000 მანეთად იყო დაფასებული და თეატრი კი 60,000 მანეთათა.

ამ ადგილს გარდა, რომელიც ქალაქისათვის ეხლა უკანასკნელ 200,000 მანეთად ღირს, უფ. თამამშევს კიდევ ყოველ წელიწადს რვა ათას მანეთამდი ეძლევა სუბსიდიაო, რომელიც ეხლა თითქმის ორას ათას მანეთს შეადგენსო.

ეხლა, როდესაც თეატრი დაიწვა, ქალაქმა უნდა მოიფიქროს და კარგათ ასწონოს — რა ძვირად დაჯდომია და კიდევ რამდენათ დაუჯდება იმას ეს თამამშოვის ქარვასლა და თეატრიო. იმის ეკონომია, სამართლიანობა და ანგარიში თხოულობსო, რომ მოსპოს კანტრაქტი, რომელიც თამამშოვთან აქვს შეკრული და სადმე სხვაგან ააშენოს თეატრიო; ეს უფრო იაფათაც დაუჯდებაო და არც ისე საფრთხილო იქნებაო.

როგორც სჩანს, ქალაქს არ მიუქცევია ყურადღება უფ. არწრუნის ლაპარაკისათვის: უფ. თამამშოვი აკეთებს ცეცხლისაგან დაზიანებულ ქარვასლას და, როგორც ამბობენ, ამ ორ კვირაში სრულიად მზათ იქნება.

იქნება უფ. არწრუნი მართალი იყოს, მაგრამ როდესაც ქვემო-მოყვანილ ამბავს გაიგებთ, არ შეიძლება ცოტა ეჭვში არ შეხვიდეთ ამ საგნის გამო:

დაიწვა თუ არა თამამშოვის ქარვასლა, უ. არწრუნიმ იმ წამსვე გამოცხადება აკრა კედლებზე, რომ ვინც ჩემს ქარვასლაში გადმოვა, შეიდი თვის ვადით მუქთად მივცემ მაღაზიასაო და შემდეგაც იმის მეტს არ გადავახდევინებ მაღაზიის ქირას, რამდენსაც თამამშოვის ქარვასლაში აძლევდნენო.

ს. მ.

წასულ ოთხშაბათს, ნოემბერს 20, მეორე განყოფილების ამომრჩეველებს ჰქონდათ ქალაქის დეპუტატების ამორჩევა. სულ 105 ამომრჩეველი იყო. შემდეგი 24 პირი აირჩიეს:

კ. ნ. რეიტერი—80 თეთრი კენჭი, მ. ა. თამამშევი—82, ს. ა. ამიროვი—81, ნ. ა. არგუთინსკი — 80, ი. ე. ამირაგოვი — 78, გ. გ. ევანგულოვი—78, კ. ქ. მამაცოვი—76, ბ. ი. არცრუნი—75, ნ. ი. ამატუნი—74, ი. ს. აბესალომოვი—74, ბ. ტ. ხტიასოვი—71, ირ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი—68, ნ. ი. პრიბილი—68, გ. ი. იზმიროვი—67, ს. პ. ალადათოვი—66, დ. ე. ლისიცოვი—66, ი. ს. აბესალომოვი—65, ვ. ლ. სლინკო—65, ა. ა. იონესიანი—65, ა. ნ. ქედხუდოვი—64, მ. ი. დოლუხანოვი—64, ი. ა. ზუბალოვი—63, ნ. ე. ზუბალოვი—62.

მესამე განყოფილების ამორჩევლების კენჭის ყრა ნოემბრის 23 იყო თფილისის კრებაში (მუხრანსკის სახლებში). სულ ამომრჩეველები 350 კაცი იყო, რომელთაც პირველი და მეორე განყოფილების დაგვარად 24 დეპუტატი ამოირჩიეს. ესენი არიან:

პ. ი. შადინოვი, რომელსაც—270 თეთრი კენჭი ამოუვიდა, ა. ი. მარტინოვი—265, ე. ი. ზუდინოვი—259, ა. ა. ბაბანოვი—258, ს. მ. მირიმანოვი—256, ე. მ. წოვიანოვი—254, ლ. მ. ბებუთოვი—253, დ. ა. სუმბათოვი—252, ი. მ. წოვიანოვი—252, ნ. ე. პიტოევი—249, ე. ს. როტინოვი—245, ი. ს. შადინოვი—244, ა. მ. წოვიანოვი—243, ი. ა. ფორაქოვი—242, მ. დ. როტინიანცი—242, ი. ი. წინამძღვაროვი—241, დ. ა. ფორაქოვი—239, ე. ე. ეჯუბოვი—237. მ. გ. წურინოვი—237, ი. დ. ასლამაზოვი—236, ე. ი. პაპისოვი—235, ს. ი. იზმიროვი—235, ა. ს. წურინოვი—234, ი. ს. ტერ-სტეფანოვი—229.

* * *

გაზეთს „კავკაზში“ იწერებიან, რომ ამ ნოემბრის დამდეგს გზათ-მინისტრს ნოვოროსიისკი, ანაპა, გელენჯიკი და ტუაპსე უნდა დაევლო და უნდა ამოერჩია პორტის გასაშენებელი ქალაქიო; კიდეც ჩამოიარა შავ ზღვაზედაო, მაგრამ ამ დროს უეცრად უკან დაბრუნდა და ლივადიაში წავიდა ხელმწიფე იმპერატორის სანახავათო. ესვე კორრესპონდენტი იწერება, რომ ამნაირად ჯერ არ გადაწყვეტილა — თუ სად უნდა ააშენონ პორტიო, მაგრამ რკინის ნავსადგურების აშენებას კი აპირებენ ანაპაში, ნოვოროსიისკში და ტუაპსეშიო.

* * *

საჩივრები ქალაქის მებილეთეებზე თან-და თან უფრო ხშირად ისმის. იმერლებს მაინც უჭირებენ თურმე საქმეს: ვისაც ხმას კაცს დაინახავენ, აზნაური იყოს თუნდ გლეხი, არ დასდევენ, შეიტყუილებენ სადღაც კანტორა აქვთო და სინამ ბილეთს არ მიაჩეჩებენ ხელში და მანეთს არ გადაახდევინებენ, არ გამოუშვებენ. ამ უკანასკნელი თვის განმავალობაში ხუთზე მეტი მოვიდა ჩვენთან საჩივლელად, თითქო ჩვენ ამ საქმეში რამე, შეგვეძლოს....

იმედია, ახლად არჩეული ქალაქის გამგეობა მაინც მიაქცევს ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებასა.

* * *

ქალაქში წვიმა და სიცივეები დაიწყო; ზამთრის მოახლოვების სუნი ჰბერამს.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ქუთაისში ბიბლიოთეკის გამმართველი, უფ. ანტონ ლორთქიფანიძე, წასულა ქუთაისიდამ იმ განზრახვით, რომ რუსეთში და სამზღვარ გარეთ (განსაკუთრებით ვენგრიაში) სამეურნეო ბანკების საქმე და მსვლელობა უფრო დაწვრილებით შეისწავლოს.

* * *

მმართებლობასთან შეკრული პირობის (კონცესიის) ძალით, როსტოვ-ვლადიკავკაზის რკინის გზა მომავალი წლის 2 იულის უნდა იყოს სრულად დამზადებული და გახსნილი. მაგრამ როგორც იწერებიან, უფრო ადრეც იქნება მზათაო: ამბობენ, მომავალს მაისს გაიხსნებაო.

* * *

„მოსკოვის უწყებებს“ შეუტყვია, ვითომც მმართებლობას განზრახვა აქვს, რომ ამ მოკლე ხანში მოახდინოს გამოკვლევა — თუ რა ადგილებს უფრო მოხერხებული იქნება

როსტოვ-ვლადიკავკაზის რკინის გზიდამ შტოს გაყვანა ნოვოროსიისკზე და გელენჯიკზე ტუაპსემდი. ამ გზის მიმართულებას შავ ზღვაზე პორტის აშენებასთან დაახლოებითი კავშირი აქვს. როსტოვ-ვლადიკავკაზის რკინის გზიდამ ნოვოროსიისკამდი 250 ვერსია; აქედამ გელენჯიკამდი მხოლოთ 70 და ტუაპსემდი კი 240 ვერსი, სულ 560 ვერსი.

## „დროების“ კორრესპონდენცია

სოხუმი, 22 ნოემბერს

სოხუმში ჯერ ვარდები ისევ ყვავიან. ზოგიერთ ქუჩებში ისე სახლს ვერ ნახავ, რომ ღობესთან არ უდგეს რამდენიმე ხის სიმაღლე ვარდის ბუჩქები, რომლებიც საამურათ ყვავან ზოგნი სულ წითლათ, ზოგნი სულ თეთრათ და ზოგნი თეთრ-წითლათ. გაუხსნელი კოკრებიც ჯერეთ ბლომათ არიან, ასე რომ იმ თვეშიაც არ გამოილევა აქა გადაშლილი ვარდები. ამაზედ ცხადი დამტკიცება აქაური ჰაერის სითბოსი ძნელათღა იქნება.

მაგრამ არც ეს სითბო, არც ზღვის სიახლოვე არ იფარავს აქაურ მცხოვრებლებსა მავნებელ ჭაობის ზედგავლენიდგან. თითქმის ყველა სუხუმელს პირის სახეზედ ასეია აშკარა დაღი ამ ზედგავლენისა. თეთრ-წითელ ლოყებს იშვიათათ შეხვდება კაცი აქაურ მცხოვრებლებში. ყველას ყვითელი, გამოწურული ლიმონის ფერი აძეს. აქაურ ციებას ბევრი ეთერიოვანი არსება დაუფთხვია და საყვარელ ქმრებს მოუშორებია, რასაკვირველია მათ საბედნიეროთ.. მშვენიერი სქესი აქ თითქმის მარტო მახინჯ ეგზემპლიარებს წარმოგიდგენს. ლამაზი ცოლები აქ თურმე ქმრებს როდი მოსდევენ. როცა მათ ქმრებს აქეთკენ ნიშნავენ, ცოლები ამ გვარ შესხმას ეუბნებიან თურმე:

— სანატრელო გერიტო, მე შენ ძალიან მიყვარხარ, მაგრამ უფრო მომეტებულათ მიყვარს ის სიამოვნება, რომელსაც ჩემი თურაშაული ვაშლივით დაბრაწული ლოყები და ტუჩები გაძლევენ; მე არ მინდა, რომ ეს სიამოვნება მოგაკლო თვით ღრმა სიბერემდის, და ამიტომ ვერ გამოგყვები სუხუმში, რომლის ციებაც თურაშაულ ვაშლს თურმე გაწურულ ლიმონს ამზგავსებს.

ამისთანა საფუძვლიანი არგუმენტით დაჯერებული ქმარი მარტო მოეხეტება სუხუმში და მოუთმენლათ მოელის, როდის ეღირსება თავისი მშვენიერი ნახევრის ხელმეორეთ ალერსსა..... რადგანაც ეს მოლოდინი მათ მალე არ უსრულდებათ, ამიტომ ისინი ხდებიან ბუზღურა ხასიათისა, ჯავრს მეზობლებზედ ყრილობენ, სწყრებიან მათ, ებერებიან, ზურგს აქცევენ შეხვედრის დროს და მუნჯებივით უყურებენ ერთმანეთს, თუ საჭიროება ერთათ მოაქცევს მათ სადმე.

სოხუმელები ძალიან ცდილობენ, რომ არისტოტელის წარმოსთქმა: „კაცი არის საზოგადოებრივი პირუტყვი“ — თავის შესახებ გაამტყუნონ: ზიან ცალცალკე კუთხეებში და ბაიყუშებივით გამოიყურებიან ფანჯრებიდგან. გაუგონიათ, ახლანდელი ადამიანები კითხვით ართობენ გულსაო და გამოუწერიათ ბიბლიოთეკა. მაგრამ ეილასაც ცუდი ოინი უქნია მათთვის: აულია და სულ ჰაზრიოვანი თხზულებები გამოუწერია. სუხუმელებს ეს არ მოსწონებიათ, დაუკეტიათ ბიბლიოთეკა და კანონათ დაუდვიათ: მაშინ გაიღონ იგი, როდესაც წიგნებიდგან გამოქრნენ ყველა ჰზრებიო და დარჩნენ შიგ მარტო სასიამოვნო გიმნობანიო. რაც მოვედი აქ, თითქმის ყოველ დღე მივდივარ ბიბლიოთეკასთან, იქნება გაღება აღირსეს სუხუმელებმა მეთქი, მაგრამ სად არის.—ქვეხუმრობენ კი: ევროპიულათ ვართ გაწყობილიო: კლუბი, ბიბლიოთეკა, სპექტაკლები და სხვანიო; ქალაქი ჩვენის ცდილობით იზრდება დღეობით კი არა საათობითო!

როცა ეს ესმის რომელსამე ვაჭარსა, იგი უსიამოვნოთ თავს აქნევს და ამბობს: „რას ბოდვენ? სუხუმი რამდენიც ხანი გადის, იმდენი უფრო უკან-უკან მიდის. წინეთ მე 2000 მანეთი მოგება მქონდა, ახლა 600 მანეთიც მენატრება. ვაჭრობა ერთი ხუთად დაეცა, რაკი შავი ზღვის ფლოტი გაქრა და აფხაზეთი გაღარიბდა მცხოვრებლების რიცხვით და ქონებით!“.

ვაჭარი სრულიად მართალი ჩნდება. როცა ჰკრეფ სხვა და სხვა ადგილას ცნობებსა, ხედავ, რომ ვაჭრობა საშინლათ დაცემულა. ოფიციალური ცნობაც გამტკიცებს ამაში: აქაურ ტამოჟნის კანტორას იმდენი შემოსავალი არა აქვს ახლა, რომ თავის ჩინოვნიკებს ჯამაგირათ ეყოს. ამიტომაც ამ კანტორას იანვრიდგან აუქმებენ და ზასტავას აარსებენ აქ; უმთავრესი ამისი მიზეზი—საშინელი გაღარიბებაა აფხაზეთისა.

აფხაზები ახლა ყველაფერში თმენულობენ უკიდურესს ნაკლულევანებასა. მათი ტანისამოსი—გლახის პრანძებსა ჰგავს. უწინ კი თურმე სრულიათ სხვა გვარათ იცვამდნენ და სხვა შეძლება ჰქონდათ. ამიტომაც იყო თურმე სუხუმში ვაჭრობა გაჩაღებული.—ამბობენ, მხნელ-მთესველებს მიწები აღარ აქვთო.

ეს გახდა უმთავრესი მიზეზი მათი გაღარიბებისა. მე ამაზედ ნამდვილ ცნობებს შევკრეფავ მერმე და შეგატყობინებთ.

ამ წინაზედ აქ მოხდა ერთი ტრაღი-კომიკური ამბავი: ერთ მექავბე ურიასა ჰყავდა ლამაზი და მადიანი ცოლი. მის მახეში გაება ერთი მდიდარი მარსისმსახური. ქალი იმედს აძლევდა იქამდის, მანამ ეს აფიცერი ისე არ ჩაითლო გრძნობის ზღვაში, რომ უკან დახევა შეუძლებელიღა იქნებოდა. ეს რომ შეატყო ქალმა, უთხრა: შემთხვევითი კავშირი ჩემის მხრივ შეუძლებელია, მე შემიძლიან შევიქნე შენი მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩემი ქმრის ადგილს დაიჭერ და გახდები გვირგვინოსან ქმრათა. გრძნობისაგან დათრობილი აფიცერი თანახმა გახდა; ჩუმათ ერთ ღამეს გააქანა საყდარში ურიის ცოლი, საჩქაროთ მონათლა და იქვე გადაიწერა ჯვარი.

საწყალი ურია თურმე გვიან დაბრუნდა სახლში და ცოლს ძებნა დაუწყო ტახტებ ქვეშა. მაგრამ რას იპოვნიდა! „შენი ჭირიმე, სტიროდა მეორე დღეს ურია, ეს რა უსამართლობაა: სჯულური ცოლი მომტაცოს ვინმემ და არ შემიძლიან დავიბრუნოო!

ბევრი იგოდა საწყალმა ურიამ, ბევრი იჩივლა, თავის უბედობაზედ და ბოლოს ასე გადასჭრა საქმე: შევირთავ მეორეს უფრო კიდევ ლამაზს ცოლსა და თვალებ დავაქრეცინებ აფიცერს და უწინდელ ჩემ ცოლსა.

მართლა, გამოუწერია ქუთაისიდამ ერთი მშვენიერი ურიის ქალი, რომელიც უწინდელს მის ცოლზედ თურმე ერთი-ორათ ლამაზია. მაგრამ ახლა სხვა აფიცრები ილესავენ კბილებსა. ურიას კიდევ მოელის უწინდელი ხიფათი...

ამ სახით შეიძლება კაცმა ყოველ წელიწადს ლამაზი ცოლები იცვალოს, და სრულიად უმანკო და დაუნაშაულო დარჩეს!

რავდენი ნატრულობს ამგვარ მდგომარეობასა, — ეს სულელი ურია კი სტირის და ჩივის უსამართლობაზედ!...

გორი, ნოემბრის 20

ყოველს ჩვენებურს სოფელში და ქალაქშიაც ერთი რაიმე დღეობა იციან. აი, გორში ცოდნიათ გიორგობა, რომელსაც მე დავესწარი ამ თვის 10-ს, კვირას.

ვის არ დაუნახავს, ვისაც აქეთ ჩამოუვლია, რკინის გზის მარჯვნივ, მაღალ გორაზედ ერთი ქვის შენობაა მიკრული მერცხლის ბუდესავით? ეს არის ეკლესია, რომელსაც გორის-ჯვარს ეძახიან. აი, ამ ეკლესიაზედ ჰქონდათ აქაურებს გიორგობა.

შაბათს მოგროვდნენ აქ სოფლელები თავის ურმებით ისე, როგორც ლუარსაბ თათქარიძე და იმისი კნეინა დარეჯანი წაბრძანდნენ თელეთში სალოცავათ.

შაბათს ნასადილევს მეც გადვისახე პირსჯვარი და შევუდექი კიბე გზას; ბევრი ფეხშიშველა ქალები, ხელში ბღარებით, მიდიოდნენ; პირზე ოფლი წურწურით მოდიოდათ და გაპილპილებულები და მეტის-მეტი დაღლილობით სულს ძლივს ითქვამდნენ. დიდის გაჭირვებით, დაქანცული და ილაჯ-გაწყვეტილი, საშინელი ქარისაგან გაბჟუებული [illegible] მთის წვეროზედ.

აქ, ეკლესიის შემოგარს ახლოს, გადაჭრელებული ურმები და იმათ ქვეშ პატრონები პანტასავით ეყარენ ერთი მეორეზედ; დაენთოთ აქა-იქ ცეცხლი და ხმელს პურსა და ღვინოს შეექცეოდნენ; აქ დამთვრალი კინტოები ზურნა-დიპლიპიტოთი და ორგანითა თამაშობენ და „შენი, შენი ჭირიმეთი“ ეხრუკებიან გოგოებს. ახლა ეკლესიასთან მიდით: ქალები ზოგი ძაფს ახვევენ ეკლესიას გარშემო, ვითომ სარტყელიაო, ერთი ცხვარს სჭრის ყურსა და სტაქანში ასხამს სისხლს, რომელსაც, როგორც გავიგე, ღვინო უნდა შეურიოს და დალიოს, რადგან „ასე არის შეპირებული“ ღვთისადმი.

— შენ არ გაგიგია, მამაო, რომ სისხლის სმა ძველს აღთქმაში აღკრძალულია?

— რა ვქნა, შვილო, როგორც მეტყვიან, ისე უნდა ავასრულო,—მოგვიგო სისხლის მსმელმა მიხრწნილმა ბებერმა.

ბებერი ქალები კისრით ოთხ ფუთიან ჯაჭვებს მიათრევენ და სიმძიმით კისერ მოხრილი ეკლესიას გარშემო სამ-სამჯერ უვლიან. ძლიერ გამაკვირვა ამან და კითხვაზედ: „როგორ შეუძლია ამ ბებერ ქალებს ამ სიმძიმე ჯაჭვის ტარებაო?“ „გორის ჯვარი შეაძლებინებს, ვისაც შეპირებული აქვს, თორემ ვის შეუძლიაო!“ მომიგო ერთმა. ორმა გლეხმა ქვიტის ქალამნები მოიტანა. „ღმერთო, შენ შემეწიე! ჰხედამ, გორის-ჯვარო, რომ აგისრულე შეპირება: ეს ექვსი თვეა, ვატარებ ამ კინის ქალამნებს და ახლა შენ შემოგწირე,“ წაიბურტყულეს ეკლესიის გალავანში და ჩამოკიდეს ქალამნები კედელზედ.

ზოგს ხორცი მიაქვს, ზოგი ქათმებს, ცხვრებს, ძროხებს ჰკლავენ, თავს ეკლესიის კედელზედ ჰკიდებენ, ხორცს იქვე ჰყიდიან. ეს გარეთ; ახლა ეკლესიაში: თითოეულ კაცს პატარა დოქებით ან ბოთლებით მიაქვთ ღვინო (ზედაში), რომელსაც ერთი დამთვრალი სტაროსტა ართმევს, ნახევარს თვითონ სვამს, სხვას კი ქვევრში ასხამს.... ამ დღეს მეტი არაფერი; მეორე დღეს ისევ ისა, რაც წინა დღით, ე. ი. ჯაჭვის კისრით ტარება, ძაფის კედელზედ ხვევა, სისხლის სმა და სხ.

ნაწირვებს ჩვენი მლოცველები გაემგზავრნენ შინისკენ, ზოგი ისევ ისე ფეხშიშველი ან წინდებით, ზოგი ცალ-ფეხ-შიშველი, როგორც მოვიდნენ, და მილაპარაკობენ: „ღმერთო, თუ მიიღო ჩვენი მკითხავის ნარჩევი! ხომ ჰხედავს გორის-ჯვარი, რომ ვეჩვენეთ იმას და ავასრულეთ, რაც შევპირდით და რაც გვითხრეს: ერთი ცხვარი, ქათამი და ზედაში მივართვი დაა!“

თეოფ. ჰანდელაკი

# რუსეთი

ეკატერინოსლავის გუბერნიის ერობას ერთი შესანიშნავი გადაწყვეტილება დაუდვია: მმართებლობას ვთხოვოთ, ისეთი კანონი გამოსცესო, რომლის ძალითაც ყველა ზიანში, რომელიც რკინის გზაზე შეემთხვევა მოგზაურებს ან საქონელს, ამ გზების ადმინისტრაცია ანუ კამპანია იყოს პასუხის მგებელიო. ერობის გადაწყვეტილებაში, სხვათა შორის, მოხსენებულია, რომ ყველ ამ გვარ დანაშაულობაში პირდაპირი პასუხის გება რკინის გზის მაშინისტებსა და ცეცხლის შემკეთებლებს უნდა მოეთხოვოსო. ამასთანავე ერობა თხოულობს, ნება მოგვეცესო, რომ ამ გვარ შემთხვევებში საჩივარი იქ კი არ წარვადგინოთ, სადაც რკინის გზის კამპანიას თავის უმთავრესი ადგილ-სამქოფი და ან ფირმა აქვს, არამედ იქ, საცა რომელიმე უბედურება ან ზიანი მოხდებაო.

***

ოდესიდამ იწერებიან, რომ ამ უკანასკნელ დროს იქაურ სახლებსა და სადგომებს ძალიან შემოაკლდათ ფასიო; მდგურები არ იპოვებიანო; ასე რომ სახლის პატრონები ნახევარ ფასად აქირავებენ სახლებს, ოღონდ კი ამ ზამთარში დაუქირელი არ დარჩესთო.

***

რამდენიმე ხანია მას აქეთ, რაც პეტერბურღში დაარსდა სასოფლო ბანკის კომიტეტი, რომელიც ყოველ წელიწადს აცხადებს დაწვრილებით ანგარიშს—თუ რამდენი სასოფლო ბანკია რუსეთში, რამდენი ახალი გაიხსნა ან გაუქმდა, რამდენი შემოსავალ-გასავალი ჰქონდათ და სხვ. აი, ახლაც გამოსცა ამ კომიტეტმა 1874 წლის ანგარიში; აქიდამ ვტყობულობთ, რომ ამ წლის პირველ იანვრამდინ მთელს რუსეთში სულ — 342 სასოფლო ბანკი ანუ გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოება ყოფილა მთავრობისაგან დამტკიცებული. ყველაზე უფრო მომეტებული სასოფლო ბანკები შემდეგ გუბერნიებში ყოფილა: ნოვგოროდის გუბერნიაში (44), ს-პეტერბურღის (24), ტვერის (34), ხერსონის (31) და პსკოვის (16). აქედამ სჩანს, რომ ამ ბანკებს ჩრდილოეთ რუსეთში უფრო მოუდგამს ფეხი, ვიდრე სხვა ნაწილებში.

***

ჩვენს გაზეთშიაც იყო ერთ დროს ნათქვამი, რომ რკინის გზის აშენებელმა, პოლიაკოვმა, ხერსონის ერობას 300,000 მანეთი საჩუქარი შეჰპირდა, ოღონდ თქვენი რკინის გზის გაკეთება მე მომანდეთო. მიანდვეს; პოლიაკოვმა რკინის გზა გააკეთა,

(თუმცა ძალიან უშნო), მაგრამ საქმეს რომ მორჩა, თავის პირობის შესრულება, საჩუქრის თაობაზე, სრულიად აღარ ჰსურდა. ხარკოვის ერობამ უჩივლა და სენატმა იმის სასარგებლოთ გადაწყვიტა. ეხლა გაზეთებში სწერენ, რომ ხარკოვის გუბერნიის ერობამ ერთს თავის სხდომაში გადაწყვიტაო, რომ ეს პოლიაკოვისაგან აღებული სამასი ათასი მანეთი ყველა ხარკოვის გუბერნიის უეზდებს თანასწორად უნდა დაურიგდესო და როგორც უნდათ, ისე მოიხმარონო.

* * *

სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულება მოუხდენია: რომ ყველა საქალებო სასწავლებლებში, რომელნიც ამ სამინისტროს ექვემდებარებიან, გალობა, ხატვა და მუზიკა ყველა შაგირდებისათვის ვალდებულებით საგნებათ უნდა შეიქნესო. დღემდი კი ასე იყო, რომ ამ საგნებს მხოლოთ ვინც ჰსურდა და ცალკე დანიშნულ ფულს აძლევდა, ის სწავლობდა; დღეს ყველა ვალდებულნი არიან.

* * *

პეტერბურღში შემდგარი ერთი საზოგადოება, რომელიც ძველ ტანისამოსს აგროვებს და ღარიბებს ურიგებს ამ ზამთარში.

# უცხო ქვეყნები

ნოემბრის 12 (24) საფრანგეთში ქალაქების გამგეობის (მენიციპალიტეტების) წევრების ამორჩევა იყო დანიშნული. ამ დღეებში მოსული გაზეთები გვატყობინებენ, თუ როგორ გათავებულა ეს კენჭის-ყრა.

ყველა დიდ ქალაქებში, როგორც მაგ. ლიონში, ანჟერში, ჰვრში, მარსელში, ტულუზაში, ლილში, ნანტში, ბულონში, დიჟონში და სხვაგან რესპუბლიკელი დეპუტატები ამოურჩევიათ. მარსელს მაინც ყველა უკიდურესი რესპუბლიკური პარტიის კანდიდატები ამოურჩევია თავის წარმომადგენლებათ. ეხლანდელი მმართებლობა ურჩევდა ხალხსა, რომ პოლიტიკურ მიმართულებას ნუ აძლევთ მუნიციპალურ ამორჩევას, მხოლოთ ისეთი კაცები ამოირჩიეთ, რომელნიც თქვენი ქალაქებისა და სოფლების კეთილდღეობაზე იზრუნევენო. ამ სიტყვებით მთავრობას სურდა, რომ ხალხს იმის მომხრეები და ლეგიტიმისტები აერჩია და არა რესპუბლიკელები, თითქო ამათ არ შეუძლიანთ ხალხის კეთილდღეობაზე და ქალაქებისა და სოფლების წარმატებაზე ზრუნვა. ხალხმა არ დაუჯერა მთავრობას, რომლის მოსაწონი კანდიდატებიც, ზოგიერთ სოფლებს გარდა, თითქმის ყველგან დამარცხებული შეიქნენ.

ამ კენჭის-ყრის დროს ზოგან, სადაც უფრო ცხარი და გულმხურვალე ხალხია, არეულობას მოელოდნენ, ღენერალმა დიუკრომ, რასაკვირველია, ჯარი დაამზადა; მაგრამ კენჭის-ყრა ყველგან ისე მშვიდობიანათ გათავდა, რომ დიუკროსა და იმის მზგავს მართებლობის პირებს თავის გამოჩენისა და ერთგულების დამტკიცების შემთხვევა არ მოეცათ. ერთი გაზეთი ამბობს ამის თაობაზე, რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში, რესპუბლიკელებმა თავიანთი მოქმედებით ცხადათ დაამტკიცესო (თუ კი ამას კიდევლა ეპირებოდა დამტკიცებაო), რომ რესპუბლიკა და მშვიდობიანობა კარგათ მოთავსდებიან ერთმანეთშიო.

19 ამ თვისას (1 დეკემბერს) პარიჟში იქნება მინიციპალური ამორჩევა და მეორე დღეს, ე. ი. მომავალ კვირას, ნაციონალური კრების სხდომებიც გაიხსნება დეპუტატები ეხლავე იყრიან თავს პარიჟში. ტიერი დაბრუნებულა იტალიიდამ. რუერიც მალე აპირებს მოსვლას ინგლისიდამ, სადაც ნაიმპერატრიცალ მევგენიასთან ყოფილა მოსალაპარაკებლად და პლანების დასაწყობად—თუ ბონაპარტიულ პარტიამ შემდეგში როგორ უნდა იმოქმედოსო.

## ესპანია

სამზღვარ გარეთის გაზეთები ერთს ყურადღების ღირსს ამბავს გვაცნობებენ ესპანიის თაობაზე; ამბობენ, ვითომც ეხლანდელს ესპანიის მმართებლობის მოთავეს, მარშალ სერრანოს, განუზრახავს, რომ ამ მოკლე ხანში თვითონ მიიღოს ჩრდილოეთი ჯარის სარდლობა, ბისკაიას და ნავარაში წავიდეს ლაშქრად და აჯანყებული კარლისტები უთუოთ უნდა დაიმორჩილოს. ამას შემდეგ სერრანოს ჰსურს თურმე, საზოგადო კენჭის-ყრა მოახდინოს ესპანიაში, კორტესები ამოარჩევინოს და ესპანიის გამგეობა იმას გარდასცეს. ამ კორტესებზე იქნება, რასაკვირველია, დამოკიდებული (თუ კი ეს ხმა გამართლდა), როგორ მმართებლობას ამოირჩევს ესპანია: დაამკვიდრებს რესპუბლიკას თუ ისევ მონარხიას მოუბრუნდება.

## დანია

დანიის პარლამენტში (ფოლკეტინგში) ერთს ხალხის წარმომადგენელ დეპუტატს წინადადება შეუტანია, რომ აზნაურობა და სხვა ყოველგვარი ხარისხები და აგრეთვე ჩინები და ორდენები მოვსპოთო. წინადადების შეტანის დროს, დეპუტატმა სიტყვა სთქვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ყველა ამ გვარ ხარისხებმა, ჩინებმა და ორდენებმა დიდი ხანია დრო მოიჭამაო, ეხლანდელ საუკუნეში ჩვენთვის სასირცხოა, რომ იმათ კიდევ რაიმე მნიშვნელობას ვაძლევდეთ და გვარიშვილობით და ორდენებით, და არა საკუთარის ღირსებით, ვაფასებდეთ კაცსაო.

კრების თავს-მჯდომარე ძალიან მხურვალეთ ეწინააღმდეგებოდა ამ აზრსა და წინადადების შემოტანას, მაგრამ თვითონ კრებამ ყურადღების ღირსად დაინახა და იმის განსახილველად ცხრა კაცისაგან შემდგარი ცალკე კამისია დანიშნა.

## საქართველოს ცხოვრებიდგან

### სტატია IV

### ერთობის საჭიროებაზე

საზოგადოებაში რომ ერთობა დაირღვევა, იმის ხელმეორეთ გაღვიძება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა უბედურება ყველას — თავადსაც, აზნაურსაც, გლეხსაც და მღვდელსაც ეწვევა. წინანდელნი ერთმანეთის მტერნი ამ გვარს მდგომარეობაში გრძნობენ ერთობის საჭიროებას, ამისთვის რომ ყველას გული და სული კვნესის იმ უსამართლოებისა და მძლავრობის ქვეშ, რომელიც იმათ მტერმა მიაყენა თავის სარგებლობისათვის. ამ ყოფაში ყოველი თვითოეული პირი გრძნობს, რომ იმას მარტო მტრის წინააღმდეგობა არ შეუძლიან, არ შეუძლია მოიშოროს მხოლოდ თავის მხნეობით ის უღელი, რომელიც იმას მტერმა კისერზე დაადვა და რაც ძალა და ღონე აქვს, არყევს ერის საზოგადო ცხოვრებას, რომ ის დაამსხვრიოს თავის მძლავრობით.

ვამბობ, რომ ამ ყოფაში იღვიძებს ხალხში ერთობის სურვილი; ყველანი ივიწყებენ ერთმანეთის მტრობას და თხოულობენ საერთოდ მოქმედებას. ეს არის მოთხოვნილება და შედეგი მტრისაგან დაჩაგრულის და ერთობა-დარღვეულ ისტორიულის ხალხის ხელმეორედ თავისუფლების გაღვიძებისა.

იმ დროს, როცა მონგოლებმა საქართველო დაიპყრეს, (მე-XIII საუკ) ქართველები თუმცა მაინცა და მაინც ძლიერნი იყვნენ; მაგრამ იმათი ერთობა ისრე დარღვეული იყო, რომ ყველა მთავრები ცალკ-ცალკე მოქმედებდნენ მტრის წინააღმდეგ და კიდევაც ამარცხებდნენ.

ახლანდელს ოსმალეთის იმპერიაში და მცირე-აზიაში მაშინაც მაჰმადიანების სახელმწიფოები იყვნენ და ამათ რომ შეიტყეს, საქართველოს მეფე არა ჰყავს და მისი ჯარები მონგოლებს სირიაში და ინდოეთში საომრათ ჰყავთო, თარეშით შემოდიოდნენ საქართველოში და ნებაედათ მისი აოხრება; მაგრამ ქართველები ისრე ძლიერად ებრძოდნენ, რომ თურქმანი უარახანი შანშემ რამდენჯერმე სრულიად დაამარცხა და გააგდევნა. „ქართლის ცხოვრება“ 374 კაბადონზე ამბობს, რომ ამ ომს „ბანის ჯავრის“ ომი ეწოდებაო.

მაგრამ, საქართველოს საუბედუროდ, ამ გვარის მძლავრობითაც არაფერი გამოდიოდა რა: ყველა მთავარი თავ-თავისად განაგებდა თავის მამულს და არ ჰქონდათ ერთობა და სიყვარული. ამ უთანხმოებით სარგებლობდნენ მონგოლები და რიგ-რიგობით ებმებოდნენ და ამის გამო საქართველო ძლიერ დიდ შეწუხებაში იყო.

ბოლოს გარე ქართლში შეიყარნენ ამერნი და იმერნი: შანშე, ეგარსლანი, დადიანი ცოტნე, ვარამ გაგელი, ყვარყვარე, შოთა კუპრი და ყოველნი ერ-კახნი, ქართველნი, თორელი გამრეკელი, სარგის თმოგველი, მესხნი და ტაოელნი და უთხრეს ერთმანერთს:

„რამე ვყოთ, რამეთუ არღა-რა არს ნათესავი მეფეთა, რათა წინამძღვარ გვექმნას და ვბრძოდეთ თათართა. ჩვენ ერთიერთისაგან განვდგომილვართ, და ვერ ძალ-გვიძს წინააღმდგომად თათართა: და იგინი ბოროტად გვიჭირვებენ ჩვენ, და ყოველთა წელთა ალმუთს წაგვასხამენ, ყოველთა ჭირთა და ბოროტთა შესამთხვეველად, და არა არს ღონე ჩვენი; და ჩვენ უმეფონი ვართ: აწ შევკრბეთ ყოველნი, და ვებრძოლნეთ თათართა.“

ამ აზრზე ყველა ერთხმად დათანხმდნენ, დასდევს ჯარების შეყრის პაემანი. ცოტნე დადიანი ამ საქმის მოთავეთაგანი იყო; მაგრამ რადგან ესა და რაჭის ერისთავი შორეულნი იყვნენ, მაშინ გაიყარნენ და წამოვიდნენ იმერეთში, რომ შეჰყარონ ჯარები და დანიშნულს დროს მივიდნენ შიდა ქართლში და როცა შეიყრებიან საქართველოს ყველა ნაწილებიდგან სხვა ჯარებიც, დაიწყონ მონგოლებთან ომი; სხვა მთავრები კი ჯერ აქვე იყვნენ.

მონგოლებმა შეიტყეს ეს კრება, წამოვიდნენ ანის ქალაქიდგან და დაიჭირეს საქართველოს თავადნი და ანის ქალაქში დაატყვევეს. ცოტნე დადიანმა ეს ამბავი ვერ შეიტყო. შეკრიფა მთელი იმერეთისა და აფხაზეთის ჯარები და მივიდა დანიშნულს დროს. მაგრამ აქ შეიტყო, რომ თავადები მონგოლებმა დაატყვევესო. ამ ამბავმა ისრე შეაწუხა პატიოსანი ცოტნე, ისრე აიმღვრა იმისი გული მწუხარებითა, რომ ველარ მოითმინა თავისა მოძმეების უბედურება და ორის კაცით წავიდა ანისს. მთავარნი მხარ-დაკრულნი მეიდანზე ისხდნენ. 376 კაბადონზე „ქართლის ცხოვრება“ ამბობს: „ვითარ იხილნა ესე ცოტნე, წარჩინებულნი ესრეთ უპატიოდ მსხდომარენი და სიკვდილად განწირულნი, გარდახდეს ცხენისაგან, და დააბნია სამოსელი თვისი, განიშვლდა და შეიკრნა მხარნი, და დაჯდა წარჩინებულთა თანა მწუხარედ.“

მონგოლებს ძლიერ გაუკვირდათ ცოტნეს ამ გვარი საქციელი, დაიბარეს და ჰკითხეს მიზეზი. მატიანე ამბობს, რომ „ცოტნესნი კეთილად მეცნიერნი იყვნენო“. ცოტნემ უთხრა, რომ „ამ თავადი-შვილებს უჩემოთ არაფერი საქმე არ დაუჭერიათო; ჩვენ ყველანი შევიყარენით იმისთვის, რომ თქვენი ხარჯი გავკვეთოთ და ბრძანება აღვასრულოთ; აწ თქვენ ძვირის მოქმედათ შეგვრაცხეთ, და მე ამისთვის მოვედი, რომ გამოიკითხოთ, და უკეთუ სიკვდილის ღირსი რამე გვიქმნია, მეც თვითონ მოვკვდე; და უკეთუ უბრალონი იყვნენ, მეც უბრალოდ შევირაცხო და მართალ თქვენ წინაშე, რამეთუ თვინიერ ჩემსა არა-რაჲ უქმნიესთ.“ მონგოლებმა რომ გაიგონეს ეს პატიოსანი სიტყვები, უთხრეს ცოტნეს: „რადგან ქართველები ასრეთი კეთილნი ხართ და არ ღალატობთ ერთი ერთსა, რომ იმერეთით მოხვედი და სხვებთან ერთად თავი სიკვდილად განწირე, ამისათვის გაგანთავისუფლებთ, აღარ დაგსჯით და ყოველთა ქართველთა შენ მოგანიჭებთ და შენდა მონდობილ ვართო.“

თუმცა ცოტნე დადიანმა ამ თავის სამაგალითო თავგანწირულებით გამოიხსნა საქართველოს თავად-აზნაურნი სიკვდილისაგან და დაიმსახურა სახელი ერთგულებისა და პატიოსნებისა, მაგრამ ქართველები მაინც არ დაწყნარდნენ. ქართველების ერთობის დარღვევის მიზეზათ იმათ ორი საგანი მიაჩნდათ: ერთი უმეფობა, მეორე ისა, რომ ბაკურციხელი გლეხისათვის, რომელიც ყველასა ჰსჯობდა ჭკუითაც და ვაჟკაცობითაც, ამ დროს მონგოლებს იმისთანა უფლება მიეცათ, რომ ყველა მთავარი იმას ემორჩილებოდა და იმის მეფობას ცოტაღა უკლდა. რადგან „ქართლის ცხოვრებიდგან“ სჩანს, რომ მონგოლები უფროსობას აძლევდნენ იმისთანა კაცებს, რომელნიც იყვნენ პატიოსანნი და ვაჟკაცნი, ამისთვის მე ვამტკიცებ, რომ ეგარსლანი კაი კაცი და საქართველოს ერთგული შვილი იყო.

ამას ამტკიცებს პირველად ისა, რომ ამ თავადების შეთქმულობის კრებაში ესეც ურევია; მეორედ ისა, რომ „ქართლის ცხოვრება“ ამ კაცზე ქების მეტს არაფერს ამბობს. მაგრამ რადგან თავადი არ იყო, ამისთვის ის არ მოსწონდათ თავადიშვილებს და თაკილობდნენ იმის უფროსობას.

ამისათვის მოინდომეს, რაც უნდა მომხდარიყო, მაინც და მაინც ეგარსლანის უფროსობა თავიდგან მოეშორებინათ და მეფე დაესვათ. ზამოიდეს ყველა თავადი შვილებმა თავი და კიდევაც აღასრულეს თავისი სურვილი. იმათ ეგარსლანი მოიშორეს და მეფე დაისვეს; მაგრამ რა სახით და ვითარის მოქმედებით, ამას შემდეგ სტატიაში ელაპარაკებ.

ინგილო ჯანაშვილი

# ნარევი

ერთს რუსულ გაზეთში ქვემო-მოყვანილ ამბავს ვკითხულობთ:

პეტერბურღში ერთი ცოლ ქმარი ცხოვრებდა; ღარიბი გლეხები იყვნენ და საზრდოს დღიური მუშაობით პოულობდნენ. სამი პატარა შვილი ყვანდათ. ქმარი ჯერ ძალიან გულ-მოდგინეთ მუშაობდა და გვარიანად ცხოვრებდნენ, ლუკმა პური მაინც არ აკლდათ. მაგრამ ამ ბოლო დროს ქმარს ლოთობა

დაეწყო, ლოთობას სილარიბე მოჰყვა, ოჯახში უთანხმოება, ცოლის ცემა-ტყეპა და ჩხუბი. ერთხელ ცოლს ველარ მოეთმინა; როცა დამთვრალი ქმარი უმოწყალოთ სცემდა, აელო ცული ხელში, მოექნია და ზურგზე დაერტყა.

საქმემ სასამართლომდი მიაწია. მაგრამ ამ დროს ქმარმა თხოვნა შეიტანა, ჩემ ცოლს ნუ დასჯით ჩემი დაჭრილობისთვისო, მე ვარ დამნაშავეო. სასამართლომ ეს თხოვნა მიიღო მხედველობაში და ქალი გაანთავისუფლა... მაგრამ განა ამისთანა ცოლ-ქმარში თანხმობა დიდ ხანს გასძლებს?..

*
* *

სამი თვის განმავლობაში, პარიჟის სასაპნოებში 1555 ცხენი, ჯორი და ვირი დაუკლავთ და ხორცი საჭმელად გაუყიდნიათ. თითო დასაკლავ ცხენში პარიჟის მეყასბეები, საშუალ ანგარიშით, 140 ფრანკს აძლევენ (თითქმის ორმოც მანეთს). მარტო ცხენის ტყავი კი იქ თუთხმეტ-ხუთმეტ მანეთად ღირს.

*
* *

ერთს რკინის გზის სტანციის უფროსს, საფრანგეთში, ამას წინათ ვილაცასაგან კალათით ახლად-დაბადებული ყმაწვილი მოსვლია. იმას არ მიუღია და ერთი ტვირთის დამტარებელი მუშისათვის შეუძლევია: თუ გინდა, შენ წაიყვანე და გაზარდეო. ღარიბ მუშას ყმაწვილი შებრალებია, წაუყვანია კალათით და თავის ცოლისთვის მიუყვანია. შინ რომ მისულა და ყმაწვილი ამოუყვანიათ კალათიდამ, უნახავთ რომ კალათის ძირში 20,000 ფრანკი დებულა. სტანციის უფროსი გამოდავებია, ყმაწვილიც ჩემია და ეს ფულებიცაო. მაგრამ სასამართლოს ეს საქმე მუშის სასარგებლოთ გადაუწყვეტია.

*
* *

ლონდონში ერთი საზოგადოება შემდგარა, რომლის წევრთაც ერთმანეთისათვის პირობა მიუციათ, რომ ჩვენს სიცოცხლეში არავისთან არ გავიდეთ დუელშიო. საზოგადოებას ძალიან ბევრი მომხრეები უპოვნია. ერთი პარიჟელი გაზეთი ამბობს, რომ ჩვენში კი ამგვარი საზოგადოება ბევრ მომხრეს ვერ იშოვნისო, ჩვენ, ფრანცუზები, ერთობ რაინდული ხალხი ვართ და ამ საშუალ საუკუნოებისგან დატოვებულ ჩვეულებას ასე ადვილათ ვერ გადავაგდებთო.

*
* *

პარიჟში ერთი ანეკტოტების წიგნი გამოვიდა, რომელშიც, სხვითა შორის, შემდეგი ამბავია მოყვანილი:

ერთხელ საფრანგეთის კოროლს ფრანჩესკო პირველს რაღაც დამსახურებისათვის ერთი კაცის დასაჩუქრება უნდოდა, მაგრამ ჯერ ჰსურდა შეეტყო: კეთილშობილი იყო ის, თუ არა.

— ხელმწიფეო, მიუგო კითხვაზე ამ კაცმა: ნოეს კიდობანში სამი ძმანი იყვნენ; მართალი უნდა მოგახსენოთ, არ ვიცი, რომელი იმათგანია ჩემი წინაპარი.

*
* *

ერთი კაცი კვეხნულობდა თურმე, ისეთი ძხნე ვარო, რომ ჩემ დღეში არაფრის არ შემშინებიაო.

—სჩანს, შენს დღეში სანთლისთვის თითებით ცხვირი არ მოგიხოცნია, თორემ მაგას ვერ იტყოდიო, მიუგო მეორემ.

---

ქვემო დაბეჭდილი ეპატაფიები მოგვივიდა უფ. თეოფ ჰანდელაკისაგან, რომელსაც ისინი გორის-ჯვრის ეკკლესიის სასაფლაოზე შეუკრებია:

1) „ჰოი, სიკვდილო მწარეო,
სოფელს გამყარე მალეო,
ყოველი სარჩო, სამყოფი
ხელიდამ გამაპარეო!
სახლ-კარი გამიტიელე, საძირკვლით ამომყარეო.
რისთვის უძეოთ დამაგდე, საყვარელს ჩამამწარეო?
წამალს მასმევდნენ ურიცხვსა, გულო არ მიიკარეო.
ჩემ ტოლნა, ძმათა ქებული
შევიქმენ დამიწებული,
ამას გთხოვთ, ჩემნო მოყვასნო,
არა მყოთ დავიწყებული.
აქამდინ ხორცი ვალალე,
ახლა ვარ შეჭირვებული.
თითო პირი შენდობითა
შევიქმნა შეწყალებული.

---

2) ერთხელ მეც ვიყავ თქვენებრ ცოცხალი,
თქვენზეც იტყვიან ერთხელ: “საწყალი!“
ამ ხვედრს ყველანი შეეყრებიან,
მეფეც და გლახაც, ადრე თუ გვიან...

---

3) ჰმუნვით დამქოლა ბედის წერამან,
დამიგო მახე სოფლის მზერამან;
განა ვისწავლე ინსტიტუტშია,
რომ მსწრაფლ მიჰყურვოს მიწის ცქერამან?
ვარდი ვიყავ ედემშიდ აღმოსული,
ყოველ გარჯილობით კეთილად სრული,
მსწრაფლად შევ ქმენ ასრე ბედ-კრული!
დაჭკნა ყვავილი სამოთხისადა,
მუნ განმიხშირდა ცრემლი ტბისადა,
ამ წუთ სოფლისგნით არა მხვდა წილი,
ზეცას იქმნება პატოს ქორწილი!
გვირგვინიც ედგმის ოქროთ მოწილი,
პითხვით მაღირსეთ შენდობის წილი.
საწყალს დედა ჩემს რა ეშველება!
სრულად დაჰკარგა თვის ჭკუა-მცნება,
სახმილის ალი გულს მოედება
მაზედ, რომ პატო უდროოდ ჰკნება.
ჰოი, რა ძნელია სიკვდილის ზრახვა,
მიწად მიქცევა, საფლავის ნახვა!...
სულ ამო ყოფილა წუთი სოფლის ცხოვრება,
მომიტაცა უდროოთ, აღარ მომცა დროება!....

---

4) ჰოი, უმადლო სოფელო,
ყოვლის უკან მდევარო!
დამატუსაღე უდროოთ,
შემიპყრ, ხელში გყევარო,
15 წლისა დამჩაგრე, ამა ქვის ქვეშა ვწევარო..

---

5) ჰოი, მუხთალო სოფელო,
პაცთაგან მიუგნებელო,
დიდთა, მცირეთა, ჭაბუკთა
ადამიანთა მჟლობელო!
ამაო, ცუდო ბაროტო,
მარადის დაუნდობელო,
მოულოდებლად მომკვეთე,
ყოველთა დამამხობელო!
შვილი ამ საფლავს მდებარე,
გულთა ცეცხლთა მომდებარე;
სამი დღის ჯვარ დაწერილი,
აწ მიწით აღმომხმობარე:
და აღმომკითხველთა მდაბალად,
შენდობისა მთხრობარე. ,,

---

6) სიკვდილისა გემო ენახე,
მეჩვენა ფრიად მწარე;
წუთი სოფლისა ცხოვრება
სულ ამაოთ ვატარე.
სული ღმერთს მივაბარე,
მოვშორდი საყვარელ ცოლ-შვილს,
იგინიც გავამწარე.
ყოველი დაბადებული,
მიკვირს, გეტრფის, სოფელო,
ცუდო სახმარო, ურგებო,
ყოვლითურთ ვიუნდობელო!
თვალთათვის ტურფავ საჩინო,
სამყოფო წუთის-სოფელო, მეფეთა და კეისართა
მიწის ქვეშ დამამხობელო ..“

---

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

თავადის გრიგოლ
## ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ
გამოცემა პეტრე უმიკაშვილისა
ფასი ათი შაური
ისყიდება წიგნის მაღაზიებში: [illegible], ქუკიის ხიდზე და მნათობისას(?), [illegible]; ქალაქ [illegible] ("სასოფლო გაზეთის" რედაქციაში.)

---

ორთა ძმათ ალტუნჯიმ გახსნეს თფილისში მაღაზია თეთრი ფქვილისა, რომელიც ყირიმიდამ მოაქვთ თავიანთი საკუთარი მაღაზიებიდამ.

ორმოცი წელიწადია, რაც ეს ფირმა არსობს და თოთხმეტი წლის განმავლობაში მუდამ ამ ფქვილით ივსება მისი იმპერატორებითი უდიდესობის ხელმწიფე იმპერატორის სასახლე ლივადიაში.

ეს ფქვილი, რომელსაც ღირსეული სახელი აქვს დამსახურებული როგორც ყირიმ- და ოდესსაში, აგრეთვე სამზღვარ გარეთაც—სტამბოლს და ლონდონში, სარატოვის ფქვილზე ბევრათ უფრო იაფია და შესანიშნავია თავის სითეთრით და სხვა ღირსებებით.

ᲒᲐᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ჩემს მაღაზიაში: ველიამინოვის ქუჩაზე, ხოსროევის ახლად გაშენებულ სახლებში, როგორც ერთად ბლომათა, აგრეთვე ცალკე ტომრობით—თითო ტომარა ხუთ ფუთიანი.

კ. ო. ᲐᲚᲢᲣᲜᲯᲘ.

---

## რვა თვის ანგარიში ოძისის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა.

1874-ს წლის 21-ს მარტიდამ 21-ს ნოემბრამდის ამხანაგობაში ირიცხება წევრად ორას სამოცდა თერამეტი კაცი.

ა.) შემოსავალი

1.) წევრთაგან შემოტანილი საწილო ფული . . . . . . . 1553 მ. 80 კ.
2.) სესხი, რომელიც ამხანაგობამ აიღო დამფუძნებელთაგან . . 1500 მ.
3.) ამხანაგობამ ისესხა ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან და კერძო პირთაგან. . 2110 მ.
4.) სასარგებლოდ შეტანილია კერძო პირისაგან . . . . . . . 40 მ.
5.) სარგებელი აღებული გასესხებულის ფულისაგან . . . 335 მ. 40 კ.
6.) დაბრუნდა სესხი ახალ ვადა მიუცემელი . . . . . . . 1115 მ.

სულ შემოსულა 6,654 მ. 20 კ.

ბ.) გასავალი

1.) გასესხებულა . . . . . . 5,580 მ.
2.) შეტანილია ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში... 150 მ.
3.) სარგებელი მიცემული ნასესხზედ ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში . . . . . 42 მ. 46 კ.
4.) დახარჯულა გამგეობაზედ. . 315 მ. 50 კ.
5.) სარგებელი დაბრუნებული ვადაზედ წინათ გარდახდილის ნასესხისა . . 3 მ. 50 კ.

სულ გასულა 6,091 მ. 46 კ.

გ.) კასსა.

1.) შეტანილია ტფილისის სავაჭრო ბანკში . . . . . . . . 100 მ.
2.) ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ გამოგვირიცხა წესდების თანახმად. . . . . . 5 მ. 30 კ.
3.) ნაღდი ფული არის კასსაში .. 457 მ. 44 კ.

სულ 562 მ. 74 კ.
გასავალი არის 6,091 მ. 46 კ.

ერთიანი ჯამი 6,654 მ. 20 კ.

გამგენნი: { მ. ქადაგოვი. / გ. ოსეფოვი.

22 ნოემბერს, 1874 წ.
ს. ოძისი.

---

მომავალს თვეში გამოვა გასასყიდად ახლად დაბეჭდილი

## ᲕᲔᲤᲮᲕᲘᲡ ᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲛᲔᲤᲘᲡᲐᲒᲐᲜ
დაბეჭდილს ვეფხვის ტყაოსანთან, შესწორებული.
გამოცემული
ᲐᲠᲡᲔᲜ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

---

### ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ.

იბეჭდება და მოკლე დროში გამოვა გასასყიდათ „ᲡᲐᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲝ ᲙᲝᲜᲐ“ ანუ პირველ-დაწყებითი მოთხრობანი ბუნების მეცნიერებიდგან, პირველი ნაწილი, ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ Ი. ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

---

| რკ.გზა. | დილა. | | სალამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 8 | 18 | 8 | 17 | | | | |
| მცხეთა. . . | 9 | 18 | 10 | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი . . | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბექათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | 10 | | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 7 | 38 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | 9 | 11 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბექათუბანი | 3 | 27 | დილა | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი . . | 4 | 57 | 7 | 35 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 10 | 12 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | 9 | 52 | 1 | 49 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 49 | 3 | 32 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘ

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ — ხუთშაბ. სალ. 6 საათ.
სტამბოლს — კვირაობით დილას.
ბ) სოხუმიდამ:
ფოთს — ორშაბათს, ღამით.
ოდესას — შაბათს, გათენებისას.
გ) ბაქოდამ:
ასტრახნისკენ — სამშ. ხუთშ. დილ.
ასტრაბადისკენ — კვირა შუაღამეს.

| ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 3 | — |
| სპარსეთში . . . . . . | 5 | 76 |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . | 4 | — |

### ᲤᲝᲨᲢᲐ

ა) თფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.
ბ) ქუთაისიდამ:
ყოველგან — ორშაბ. ამას გარდა თფილისს და რუსეთს — ოთხშაბ. და პარასკ. ფოთს და სოხუმს — ხუთშაბ. და შაბათ. (სალამომდი.)
გ) გორიდამ.
ყოველგან — ორშაბ. ოთხშაბ. და პარასკეობით (სალამოს შვიდ საათამდე.)
დ) ფოთიდამ:
ყოველგან — ყოველ დღე.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში: | კაპ |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . . | 5 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 10 |

| ᲑᲘᲠᲟᲐ | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 1 ოკტომბ. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 33½ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 351 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 98 | |
| მოგებიანი (პირველი სესხი) | 180 | 75 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 175 | 95 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ხერსონის ბანკის (5½) | 83 | 75 |
| მოსკოვის (5%). . . | 86 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 230 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 132 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. უზრუნვ. მყოფი საზ. | 665 | — |
| პეტერბ. უზრ. მყოფი საზ. | 263 | — |
| მოსკოვის უზრ. მყოფი საზ. | 257 | 65 |

| ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 28 ნოემ. | | |
| პური გაჯისა . . | 1 | 10 |
| ქერი. . . . . . | — | 65 |
| ბამბა ერევნისა . . | 4 | 50 |
| — ამერიკისა . | 6 | 80 |
| გაპენტილი ბამბა . | 8 | — |
| მატყლი თუშური . | 6 | 30 |
| — თარაქამისა . . | 4 | — |
| აბრეშუმი ნუხური . | 3 | — |
| ქონი . . . . . | 4 | 50 |
| ქონის სანთელი . . | 6 | — |
| სტეარინის სანთელი . | 10 | 30 |
| ხორცი ძროხისა . | — | 45 |
| — ცხვრისა . . | — | 55 |
| სპირტი . . . . . | 7 | — |
| შაქარი კარგი . . | 8 | 55 |
| — ფხვნილი . . | 7 | |
| ყავა გრგვალი . | 19 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთისა . | 6 | — |
| ოქრო . . . | 5 | 90 |

### „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲐ

— ს. ც.-ს, ქ-ს. ძლიერ გმადლობთ იმ შეცდომების გასწორებისათვის, რომელიც თქვენ შეგინიშნავთ. ნეტავი ყველანი თქვენისთანა ყურადღებით აკვირდებოდნენ გაზეთსა.

— მ. ა—ს, ო—ს. თქვენგან გამოგზავნილი ექვსი მანეთი მომავალი წლის გაზეთისა მოგვივიდა, მაგრამ, რადგან იმედი გვაქვს, რომ მერმის გაზეთი კვირაში სამჯერ გამოვა და 8 მანეთად ეღირება, ამიტომ ორი მანეთის დამატება დაგჭირდებათ.

— ა. პ., რ—ს. შემდეგი წლიდამ ყველა ადრესები დაბეჭდილი იქნება; ეხლა რამდენიმე ნომრისთვის დაბეჭდვა არა ღირს.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Ноября 1874 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. რედაქტორი ს. მესხი.